ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №703807

ნომერი: AR1132714

თარიღი : 20.05.2013

გაცემის თარიღი : 24.05.2013

გაცნობის თარიღი : 24.05.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩა N14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თოხაძე პ/ნ 01009018465
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 8 ბ. 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი განლაგებულია ქალაქის მნიშვნელოვან ადგილას, ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, გამომდინარე აქედან სამსახურს აღნიშნულ ტერიტორიაზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია I კლასის ობიექტის განთავსება, მით უმეტეს რომ აღნიშნული ტერიტორია ისედაც გადატვირთულია მსგავსი სახის ნაგებობებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით უარი სამსახურის მიერ ერთხელ უკვე გეთქვათ 15.05.2013წ. №688715 გადაწყვეტილებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.